



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„კამბეკიძე“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსი
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირთავა

21 დეკემბერი 2021 წელი

N 54/36

ეგზ.: N1

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის
2019-2020 წლების საქმიანობის
შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	2
	შემაჯამებელი მიმოხილვა	3
	რეკომენდაციები	5
	1. შესავალი	7
	ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	7
	აუდიტორის პასუხისმგებლობა	7
	აუდიტის საგანი	7
	აუდიტის მასშტაბი	7
	აუდიტის კრიტერიუმები	7
	აუდიტის მიზანი	8
	აუდიტის მეთოდოლოგია	8
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	8
	2. აუდიტის მიგნებები	9
	დანართები	26
	საკონტაქტო ინფორმაცია	29

ტერმინები და
შემოკლებები

მერია – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია.
 საკრებულო – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო.
 ამხანაგობა – ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „მშენებლები“.
 საცხოვრებელი სახლი – ეკომიგრანტი ოჯახებისათვის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი.
 ა(ა)იპ – ა(ა)იპ – ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანება.

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი სახის ნაკლოვანებები:

ფინანსური რესურსების მართვა

ფინანსური რესურსების მართვის ხარვეზები

მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო 2019-2020 წლებში საკუთარ ანგარიშებზე არსებული თავისუფალი ნაშთის სახით, ჯამში – 3,568,670 ლარის ათვისება, რაც მიუთითებს მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული ფინანსური რესურსების არაეფექტიანი მართვის და პროექტების დაგეგმვის ხარვეზებზე.

შესყიდვები

მშენებლობა-რეაბილიტაციაში არსებული ხარვეზები

მუნიციპალიტეტმა 2,884,841 ლარის ღირებულების მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა განახორციელებინა გამოცდილების არმქონე იურიდიულ პირს, სადაც საბაზრო ფასთან შედარებით, ზედმეტად არის გადახდილი 194,586 ლარი, ხოლო სატრანსპორტო ხარჯის გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე ანაზღაურებულია 45,064 ლარი.

სახელმწიფო შესყიდვაში კონკურენციის შეზღუდვა

მერიამ განათების წერტილების ტექნიკურ მომსახურებაზე 302,043 ლარის ღირებულების სახელმწიფო შესყიდვა არაკონკურენტულ გარემოში განახორციელა, სატენდერო დოკუმენტაციაში არ მიუთითა განათების წერტილების ჩართვა-გამორთვის თვითრეგულირება, ხოლო ვალდებულების შესრულებლობისათვის განსაზღვრა დიდი ოდენობის პირგასამტეხლო, რაც ფაქტობრივად არ გამოუყენებია.

წყალმომარაგების უზრუნველყოფის ღონისძიებაში არსებული ხარვეზები

მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო ხარვეზით შესრულებული სამუშაოების გამოვლენა და აღმოფხვრა. შედეგად, არასრულყოფილად შესრულებული სამუშაოებისათვის გადახდილია არანაკლებ 179,829 ლარი. ამასთანავე, წყალსადენის რეზერვუარის მომსახურებისათვის დაუსაბუთებლად არის განსაზღვრული დასაქმებულ პირთა რაოდენობა, ხოლო ფაქტობრივად გაწეული მომსახურების დადასტურების გარეშე ანაზღაურებულია 369,985 ლარი.

საპროექტო დოკუმენტაციის შედგენაში არსებული ხარვეზები

მუნიციპალიტეტმა ინფრასტრუქტურული სამუშაოებისათვის 26 შემთხვევაში საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვაზე გადაიხადა ხელშეკრულების სრული თანხა – 144,517 ლარი, თუმცა არასრულყოფილად ჩაატარა ბაზრის კვლევა, პროექტების მიღების ეტაპზე არ განახორციელა ინსპექტირება, შესყიდულ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად არის განსაზღვრული სამუშაოების სახეობები, არანაკლებ, 1,822,997 ლარის ღირებულების სამუშაოებზე მიღებულია ხარვეზით შედგენილი პროექტი, რამაც განაპირობა, რომ დადგენილ დროში ვერ დასრულდა სამშენებლო სამუშაოები. აღნიშნულ პირობებში მიმწოდებელზე არ არის დაკისრებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო.

შრომის ანაზღაურება

შრომის ანაზღაურების გაცემაში არსებული ხარვეზები

მუნიციპალიტეტში სრულფასოვნად არ გამოიყენება სამუშაო დროის აღრიცხვის სისტემა. ამასთანავე, 64 პირი, რომელთა ანაზღაურებამ შეადგინა 230,851 ლარი, შეთავსებით დასაქმებულია სხვა უწყებაში, ხოლო მათ მიერ მუნიციპალიტეტში სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენება წარმოდგენილი დოკუმენტებით არ დასტურდება.

ავტოსატრანსპორტო საშუალებების საწვავის ხარჯი	საწვავის ხარჯვაში არსებული ხარვეზები მუნიციპალიტეტში არ არის გათვალისწინებული ავტომობილების რაოდენობასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის რეკომენდაციები. წარმოდგენილი დოკუმენტებით, ბალანსზე რიცხულ და საჯარო მოსამსახურეების პირად საკუთრებაში არსებულ 46 ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე ჯამში – 163,362 ლარის ღირებულების საწვავის სამსახურებრივი დანიშნულებით ხარჯვა არ დასტურდება.
აქტივების მართვა	აქტივების მართვაში არსებული ხარვეზები მუნიციპალიტეტს არ ჩაუტარებია ბალანსზე რიცხული 91,787,853 ლარის ღირებულების აქტივების ინვენტარიზაცია, ხოლო 61 დასახელების – 11,547,290 ლარის ღირებულების აქტივები არ აქვს აღრიცხული ფინანსურ ანგარიშგებაში.
კვების პროდუქტები	ხელშეკრულების პირობების დარღვევით პროდუქტების შეძენა მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ – ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანებამ, სატენდერო წინადადებით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხისა და გადახდილ ფასთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის გარეშე, შეიძინა 27,610 ლარის ღირებულების კვების პროდუქტი.
საკრებულოს წევრების ხარჯების ანაზღაურება	დასაბუთების გარეშე ხარჯების ანაზღაურება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტმა 2019-2020 წლებში საკრებულოს არათანამდებობის პირებზე, შესაბამისი დოკუმენტური დასაბუთების გარეშე, ხარჯის ანაზღაურების მიზნით გასცა სულ – 72,975 ლარი.
შიდა კონტროლი	შიდა კონტროლის ნაკლოვანებები მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემები სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ფინანსების მართვის გაუმჯობესებას, ინფრასტრუქტურული ღონისძიებების შესრულების მონიტორინგის, საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობის და ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობას.

რეკომენდაციები

ხელვაჩაურის
მუნიციპალიტეტის
მერიას:

რეკომენდაცია N1. ფინანსური რესურსების რაციონალური მართვის უზრუნველყოფის მიზნით, მუნიციპალიტეტის მერიამ ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებები გამოიყენოს შესაბამისი წლის ბიუჯეტით დაგეგმილი პროგრამების/ქვეპროგრამების მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების მისაღწევად. ამასთანავე, ბიუჯეტი დაგეგმოს იმგვარად, რომ არ დაუშვას ნაშთის უკონტროლო დაგროვება და არსებული ნაშთი მიმართოს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

რეკომენდაცია N2. მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს დამატებითი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობაზე ეფექტიან ზედამხედველობას, კვალიფიციური ქვეკონტრაქტორის შერჩევას, ხარვეზების დროულად გამოვლენას და შესაბამის რეაგირებას. ამასთანავე, დაადგინოს მიმწოდებლის მიერ შეუსრულებელი სახელშეკრულებო ვალდებულების პირობებში სამუშაოს ჩაბარების გამომწვევი მიზეზები და გაატაროს სამართლებრივი ღონისძიებები.

რეკომენდაცია N3. მერიამ შეიმუშაოს ისეთი შიდა კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს კონკურენტუნარიან სახელმწიფო შესყიდვებს და საბიუჯეტო სახსრების რაციონალურ ხარჯვას. ამასთანავე, განიხილოს ფაქტი, რომ გარე განათების ქსელის განვითარების და მოვლა-პატრონობის ქვეპროგრამის ფარგლებში აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციები არ არის გათვალისწინებული და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

რეკომენდაცია N4. მერიამ დანერგოს ისეთი კონტროლის სისტემა, რომელიც დროულად გამოავლენს ხარვეზით შესრულებულ სამუშაოებს, განახორციელებს სათანადო რეაგირებას და უზრუნველყოფს შესრულებაში ნაჩვენები სამუშაოების ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენას. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა იმსჯელოს წყალსადენის სათავე ნაგებობების მომსახურებისათვის გაწეული ხარჯების მიზანშეწონილობის შესახებ, დაადგინოს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების დადასტურების გარეშე და წყლის სისტემის გაუმართაობის პირობებში საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის გამომწვევი მიზეზები და გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

რეკომენდაცია N5. მერიამ დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზანშეწონილობას და ხელშეკრულების შესრულებაზე სათანადო მონიტორინგს. აღნიშნული ხელს შეუწყობს სამუშაოების უკეთ წარმოებას და მინიმუმამდე შეამცირებს ხარვეზებით შედგენილი პროექტების მიღებას. ამასთანავე, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ გამოიკვლიოს შესყიდვაში არსებული ხარვეზების გამომწვევი მიზეზები და გაატაროს სათანადო ღონისძიებები.

რეკომენდაცია N6. მერიამ დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები და შექმნას ადამიანური რესურსების მართვის ისეთი პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაო დროის აღრიცხვის სისტემის გამოყენებას. ამასთანავე, შეფასდეს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის კონტროლის მექანიზმების სისუსტეები, შეთავსებით დასაქმებული პირების მიერ სამუშაო დროის სრულფასოვნად გამოყენების და საბიუჯეტო სახსრების არარაციონალურად ხარჯვის რისკები და გატარდეს სათანადო ღონისძიებები.

რეკომენდაცია N7. მერიამ იმსჯელოს საჯარო მოსამსახურეების პირად საკუთრებაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამოყენების და მასთან დაკავშირებით საწვავის ხარჯვის მიზანშეწონილობაზე. ამასთანავე, შეიმუშაოს საწვავის განაწილებისა და ხარჯვის ისეთი წესი, რომელიც დაეფუძნება მოქმედ რეგულაციებს და უზრუნველყოფს საწვავის არასამსახურებრივი მიზნებისათვის შესაძლო გამოყენების თავიდან აცილებას.

რეკომენდაცია N8. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების ფაქტობრივი რაოდენობის და მდგომარეობის დასაცავად შემუშავდეს დამატებითი კონტროლის მექანიზმები. ამასთანავე, მერიამ უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში მხარჯავ დაწესებულებებში სავალდებულო ინვენტარიზაციის ჩატარება და სრულყოფილად განხორციელდეს აქტივების აღრიცხვა.

რეკომენდაცია N9. მუნიციპალიტეტმა საბავშვო ბაღების გაერთიანებასთან ერთად დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს კვების პროდუქტების შეძენაში არსებული ხარვეზების გამოვლენას და სათანადო რეაგირებას; ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა გამოიკვლიოს ხარისხისა და გადახდილ ფასთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე კვების პროდუქტების შეძენის გამომწვევი მიზეზები და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

რეკომენდაცია N10. მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი და პრაქტიკა, სრულად შეესაბამებოდეს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს. შესაბამისად, ხარჯების ანაზღაურება განხორციელდეს სათანადო დოკუმენტების წარმოდგენის პირობებში.

რეკომენდაცია N11. მუნიციპალიტეტმა შეიმუშაოს და დანერგოს იმგვარი შიდა კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემის შესწავლასა და შეფასებას, ასევე პროცესებში არსებული რისკებისა და სისტემური ხარვეზების გამოვლენას. მიღებული შედეგების საფუძველზე, შესაბამისმა სამსახურმა შეიმუშაოს რეკომენდაციები და განახორციელოს მისი მუდმივი მონიტორინგი.

1. შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშესაბამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის საქმიანობა შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტი წარიმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით გონივრული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშესაბამობების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა 2019-2020 წლებში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

- საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;
- საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილება „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გვერდითი მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ;

- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ;
- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 თებერვლის N09 დადგენილება „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“;
- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 21 დეკემბრის N39 დადგენილება „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“;
- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N19 დადგენილება „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

აუდიტის მიზანი

- ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შეესაბამება აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

- აუდიტის საგნის შესასწავლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:
- დოკუმენტური შემოწმება;
 - ფიზიკური დათვალიერება;
 - ინტერვიუები.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საქმიანობის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტია“, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“. მერიის საქმიანობას საერთო ხელმძღვანელობას უწევს მერი. მერიის სტრუქტურა შედგება 10 სტრუქტურული ერთეულისგან და დასაქმებულია 172 თანამშრომელი. შემოსულობები 2019 წელს შეადგენს 20,786,012 ლარს, 2020 წელს – 18,603,202 ლარს.

იურიდიული მისამართი: საქართველო, ბათუმი, დიდაჭარის ქუჩა N23.

2. აუდიტის მიგნებები

2.1 ფინანსური რესურსების მართვა

2.1.1 ფინანსური რესურსების მართვის ხარვეზები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტმა მიღებული შემოსულობები და საკუთარ ანგარიშზე არსებული თავისუფალი ფულადი სახსრები სრულად უნდა ასახოს ბიუჯეტში და მიმართოს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული, სოციალური ან სხვა პროექტების განსახორციელებლად. ამასთანავე, ბიუჯეტი უნდა დაიგეგმოს იმგვარად, რომ არსებული თავისუფალი ნაშთი დროულად და მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული.

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტის წლიურ ბიუჯეტებზე დაყრდნობით, შემოსულობებმა 2019-2020 წლებში – 39,389,214 ლარი, ხოლო გადასახდელებმა – 41,917,804 ათასი ლარი შეადგინა.

ინფორმაცია შემოსულობების, გადასახდელების შესახებ წარმოდგენილია ცხრილში.

ცხრილი N1. ინფორმაცია ბიუჯეტის შესრულების შესახებ

დასახელება	2019 წელი			2020 წელი		
	დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება	შესრულების %	დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება	შესრულების %
შემოსულობები	19 251 350	20 786 012	108%	18 268 302	18 603 202	102%
შემოსავლები	19 031 590	20 565 197	108%	18 267 214	18 602 115	102%
არაფინანსური აქტივების კლება	219 760	220 815	100%	1 088	1 087	100%
გადასახდელები	23 013 172	22 220 998	97%	20 595 139	19 696 806	96%
ხარჯები	12 870 596	12 621 489	98%	12 413 882	12 099 080	97%
არაფინანსური აქტივების ზრდა	10 113 976	9 570 909	95%	8 181 257	7 597 726	93%
ფინანსური აქტივების ზრდა	28 600	28 600	100%			

2020 წელს, 2019 წელთან შედარებით თავისუფალი ნაშთის შემცირების დინამიკა კლებადია და უმჯობესდება. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტი ფლობდა არსებითი მოცულობის საბიუჯეტო ნაშთებს. კერძოდ, 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტს ბალანსზე ნაშთის სახით ერიცხებოდა 3,746,361 ლარი, რომლის ხარჯვაც დაიგეგმა 2019 წლისათვის, თუმცა ნაშთის გამოყენებამ მხოლოდ 1,419,524 ლარი შეადგინა და პერიოდის ბოლოს ფიქსირდება 2,326,837 ლარის თავისუფალი ნაშთი. 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთიდან, მუნიციპალიტეტმა 2020 წელს დაგეგმა ნაშთის გამოყენება, მაგრამ 2020 წლის ბოლოს, ნაშთის ცვლილებით გამოწვეული ფულადი სახსრების დაგროვებამ 1,241,833 ლარი შეადგინა.

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო 2019-2020 წლებში საკუთარ ანგარიშებზე არსებული თავისუფალი ნაშთის სახით ჯამში 3,568,670 ლარის ათვისება, რაც მიუთითებს მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული ფინანსური რესურსების არაეფექტიანი მართვის და პროექტის დაგეგმვის ხარვეზებზე.

რეკომენდაცია N1
ხელვაჩაურის
მუნიციპალიტეტის მერიას:

ფინანსური რესურსების რაციონალური მართვის უზრუნველყოფის მიზნით, მუნიციპალიტეტის მერიამ ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებები გამოიყენოს შესაბამისი წლის ბიუჯეტით დაგეგმილი პროგრამების/ქვეპროგრამების მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების მისაღწევად. ამასთანავე, ბიუჯეტი დაგეგმოს იმგვარად, რომ არ დაუშვას ნაშთის უკონტროლო დაგროვება და არსებული ნაშთი მიმართოს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

2.2 შესყიდვები

2.2.1 მშენებლობა, რეაბილიტაციაში არსებული ხარვეზები

კრიტერიუმი: ეკომიგრანტი ოჯახებისათვის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის სატენდერო დოკუმენტაციით,¹ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი უნდა მოიცავდეს საერთო ფართობით 2,805 კვ.მ-ის 39 ტიპურ საცხოვრებელ ბინას.² მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და განახორციელოს სამშენებლო სამუშაოები. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ტექნიკური დავალების შესაბამისად, ხოლო სამშენებლო სამუშაოების მიღება უნდა განხორციელდეს შესაბამისი დოკუმენტაციის³ საფუძველზე. მოქმედი რეგულაციების შესაბამისად,⁴ სახელმწიფო შესყიდვა უნდა განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპით. ამასთანავე, სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას, საწყისი სავარაუდო ფასის, ასევე ფაქტობრივი ხარჯების გამოთვლა უნდა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 ბრძანებით დამტკიცებული წესის⁵ შესაბამისად.

ფაქტობრივი გარემოება: საცხოვრებელი სახლის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა განხორციელდა 2019 წელს. სავარაუდო ღირებულების დადგენის მიზნით, მერიამ ბაზრის კვლევა ჩატარა 2018 წელს,⁶ თუმცა კვლევისათვის პრეტენდენტებზე წარდგენილ ტექნიკურ პირობებში არ არის მოთხოვნილი ის ვალდებულებები,⁷ რაც ფაქტობრივად უნდა განხორციელდებოდა. აღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ 2018 წელს ჩატარებული ბაზრის კვლევის შედეგებით შესყიდვის სავარაუდო ფასის განსაზღვრა არარელევანტურია. მერიამ შესყიდვის ეტაპზე არ შეაფასა გასული წლის ბაზრის კვლევის შედეგების რეალურ მდგომარეობასთან შესაბამისობა და დაუსაბუთებლად, შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად განსაზღვრა 3,335,145 ლარი.

¹ NAT 190000052, 04.01.2019, სავარაუდო ღირებულება - 3,335,145 ლარი, მშენებლობის ადგილი: სოფელი ორთაბათუმი, მიწის ს/კ 22.22.11.252, ხელშეკრულება N45, 22.03.2019, ხელშეკრულების ფასი - 2,977,792 ლარი.

² 10 ერთეული - ოროთახიანი, თითოეულის ფართობი - 55კვ.მ; 25 ერთეული - სამოთახიანი, თითოეულის ფართობი - 75კვ.მ და 4 ერთეული - ოთხოთახიანი, თითოეულის ფართობი - 95კვ.მ.

³ ხელშეკრულების ნაწილი 5, პუნქტები: 5 და 6, საბოლოო მიღება ხდება აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნის, მიღება-ჩაბარების აქტის და შესრულებული სამუშაოს ფორმა N2-ის წარმოდგენის შემდგომ.

⁴ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 2; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მითითებები და რეკომენდაციები.

⁵ „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ შესახებ.

⁶ 18.06.2018. მონაწილეობდა: შპს „არქიდეა“; შპს „ბარნაბიშვილი - გურგენიძე - არქიტექტორები“; შპს „მშენებელი 80“.

⁷ პრეტენდენტებზე წარდგენილ ინფორმაციაში პირველ სართულზე უნდა მოეწყოს 150 კვ.მ კომერციული ფართობი, სატენდერო წინადადების ტექნიკურ დავალებაში კი აღნიშნული არ არის გათვალისწინებული. ასევე კვლევაში არ არის მითითებული არქიტექტურული პროექტის, დიზაინპროექტის, კონსტრუქციული პროექტის, საინჟინრო ნახაზის, ვენტილაციის, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის და ეზოს კეთილმოწყობის პროექტების შედგენა-მიწოდების და პროექტებზე ჩასატარებელი ექსპერტიზების შესახებ.

სატენდერო წინადადებით,⁸ პრეტენდენტს გამოცდილების შესახებ ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება აქვს მხოლოდ სამშენებლო სამუშაოებზე, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისათვის კი აღნიშნული არ არის გათვალისწინებული, მაშინ როდესაც სხვა შემთხვევებში მერიას ანალოგიური მომსახურების შესყიდვის ეტაპზე მოთხოვნილი აქვს პრეტენდენტის გამოცდილება.

შესყიდვაში მონაწილეობდა ორი პრეტენდენტი, მერიამ ხელშეკრულება⁹ გაუფორმა უმცირესი ფასის წარმომდგენ პრეტენდენტს – ამხანაგობა „მშენებლებს“. ამხანაგობა დაფუძნებულია ორი იურიდიული პირის¹⁰ მიერ 2019 წლის 18 იანვარს. ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების მიზნით, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას ამზადებს შპს „მშენებელთა ჯგუფი“, ხოლო სამშენებლო სამუშაოებს ასრულებს შპს „ახალი სტილი“ (ltd new style).

წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ პროექტის და ხარჯთაღრიცხვის მიმწოდებელს, შპს „მშენებელთა ჯგუფს“ საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის შესაბამისი გამოცდილება არ გააჩნია და ფაქტობრივად ეს სამუშაო მას არ შეუძლებოდა. საპროექტო დოკუმენტაცია მომზადებულია და პროექტის ინსპექტირება განახორციელა მესამე მხარემ¹¹ და რეალური ღირებულება შეადგენს 75,000 ლარს. აღნიშნული დასტურდება ქვეკონტრაქტორის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით, თუმცა მერიას ამ მომსახურებისათვის მიმწოდებელზე გადახდილი აქვს 10,000 ლარით მეტი, ანუ 85,000 ლარი.

სატენდერო კომისიის ოქმებით ირკვევა, რომ სამშენებლო სამუშაოების შესრულებისათვის შესაბამისი გამოცდილება წარმოდგენილი აქვს ამხანაგობის დამფუძნებელს, შპს „ახალ სტილს“ (ltd new style) და მისი ვალდებულებაა სამშენებლო სამუშაოების წარმოება, თუმცა როგორც პროექტირების შემთხვევაში, ანალოგიურად, სამშენებლო საქმიანობა ფაქტობრივად მას არ განუხორციელებია და გაფორმებულია დამატებითი ხელშეკრულება შპს „მშენებელი 2020“-თან, რომელიც დაფუძნებულია 2019 წლის 11 ივნისს. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელს არ გააჩნდა სამშენებლო საქმიანობის გამოცდილება. აღნიშნულთან დაკავშირებით მერიამ არ გაატარა შესაბამისი ღონისძიება. შედეგად, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა განახორციელა გამოცდილების არმქონე შპს-მ, ამასთანავე, სამუშაოების მიღება-ჩაბარების ეტაპზე ინსპექტირება ჩატარდა მხოლოდ შესრულებული სამუშაოების, შესრულების აქტში ასახულ სამუშაოებთან შესაბამისობაზე, რაც წარმოშობს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ პირობებთან შეუსაბამობის რისკს.

სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით, მიმწოდებლის მიერ მერიისათვის წარდგენილი დოკუმენტებით, შესრულებული სამუშაოების ღირებულება

⁸ ოქმი N1, 04.01.2019; 2012 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, საერთო ღირებულებით - არანაკლებ 3,300,00 ლარი, მათ შორის, ერთი ხელშეკრულების ფარგლებში - 1,500,000 ლარი.

⁹ NAT 190000052, ხელშეკრულება N45, 22.03.2019, ხელშეკრულების ფასი - 2,977,792 ლარი, მათ შორის, სამშენებლო სამუშაოები - 2,892,792 ლარი, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - 85,000 ლარი.

¹⁰ 18.02.2019, შპს „ახალი სტილი“ (ltd new style), ს/ნ 445430089 და შპს „მშენებელთა ჯგუფი“, ს/ნ 445478938.

¹¹ ხელშეკრულება - უნომრო, 25.03.2019 წ., სახელშეკრულებო ღირებულება - 65,000 ლარი, პროექტის ინსპექტირება განახორციელა შპს „რეალექსპერტმა“ და გადახდილია 10,000 ლარი.

შეადგენს 2,884,841 ლარს,¹² თუმცა უშუალოდ სამუშაოს მწარმოებელთან, შპს „მშენებელი 2020“-თან გაფორმებული ხელშეკრულებით და სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტებით ირკვევა, რომ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 2,746,015 ლარი, ანუ რეალურ ღირებულებასთან შედარებით – 138,826 ლარით ნაკლები.

- სატენდერო წინადადების და ხელშეკრულების პირობებით, მიმწოდებელს უნდა უზრუნველყო 2,805 კვ.მ საერთო ფართობის 39 ერთეული ტიპური საცხოვრებელი ბინის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოწოდება და მშენებლობა. წარმოდგენილი დოკუმენტებით¹³ ირკვევა, რომ პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენისას და შემდეგ მშენებლობისას, დაშვებულია გარკვეული სახის ხარვეზები. შედეგად, ზემოთ მითითებული 2,805 კვ.მ-ის ნაცვლად, აშენებულია 61 კვ.მ-ით ნაკლები, ანუ ფაქტობრივად – 2,744 კვ.მ საცხოვრებელი ფართობი. აღნიშნული მიუთითებს, რომ არ მიმდინარეობდა სათანადო ზედამხედველობა, მერიამ მიიღო სატენდერო წინადადებასთან შეუსაბამოდ შედგენილი პროექტი, არ გამოიყენა ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და შეუსრულებელი სამუშაოებისათვის ბიუჯეტიდან გადახდილია არანაკლებ 45,760 ლარით მეტი.¹⁴

- სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში, ცალკეული სამუშაოს ერთეულის ფასი მოიცავს შრომითი დანახარჯების, მანქანების, მასალების, ექსკავატორის და სხვა სახის ხარჯებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, ხარჯთაღრიცხვაში ასახულია ცალკეული სამუშაოს ერთეულის ფასი, რაოდენობა და სრული სახარჯთაღრიცხვო ღირებულება. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ სამუშაოს შესრულების მიღება-ჩაბარების აქტებში, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს იდენტიფიცირების გარეშე, საერთო შესრულებული სამუშაოს ჯამურ ღირებულებაზე დასაბუთების გარეშე პროცენტულად დამატებით დარიცხული და გადახდილია, მიმწოდებელზე სატრანსპორტო ხარჯი – 37,933 ლარი, მასზე დარიცხული ზედნადები ხარჯების და მოგების ჩათვლით, ჯამში – 45,064 ლარი. ამ დროს აღნიშნული სახით ტრანსპორტის ხარჯების დამატებით დარიცხვას მოქმედი რეგულაციები არ ითვალისწინებს¹⁵ და ეს თანხა მუნიციპალიტეტს არ უნდა აენაზღაურებინა.

¹² გადახდილია 2,812,544 ლარი, ხოლო სამუშაოების ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებულია 72,297 ლარი, რომლის გადახდა განხორციელდება სამუშაოს დასრულებიდან ორი წლის შემდეგ.

¹³ საპროექტო დოკუმენტაცია, ამონაწერები საჯარო რეესტრიდან.

¹⁴ გადახდილია - 2,897,544 ლარი, გადასახდელია - 72,297 ლარი, ჯამში გაწეული ხარჯი შეადგენს - 2,969,841 ლარს. ფაქტობრივად, გადახდილი თანხის შენობის საერთო ფართობთან პროპორციით, 1 კვ.მ ფართობის საშუალო ფასი შეადგენს 746,38 ლარს, ხოლო 61,31 კვ.მ-ზე შეადგენს - 45,760 ლარს.

¹⁵ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N52 დადგენილება, ტექნიკური რეგლამენტი „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესის“ შესახებ; საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილება „საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და სამოქმედოდ დაშვების შესახებ“.

დასკვნა

ეკომიგრანტი ოჯახებისათვის 2,884,841 ლარის ღირებულების მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა განხორციელდა გამოცდილების არმქონე იურიდიული პირის მიერ, სადაც საბაზრო ფასთან შედარებით, ზედმეტად არის გადახდილი 194,586 ლარი, ხოლო სატრასპორტო ხარჯის გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე ანაზღაურებულია 45,064 ლარი. აღნიშნული გარემოებები წარმოშობს საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიური ხარჯვის და არამართლზომიერი ქმედების რისკებს.

რეკომენდაცია N2
ხელვაჩაურის
მუნიციპალიტეტის მერიას:

მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს დამატებითი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობაზე ეფექტიან ზედამხედველობას, კვალიფიციური ქვეკონტრაქტორის შერჩევას, ხარვეზების დროულად გამოვლენას და შესაბამის რეაგირებას. ამასთანავე, დაადგინოს მიმწოდებლის მიერ შეუსრულებელი სახელშეკრულებო ვალდებულების პირობებში სამუშაოს ჩაბარების გამომწვევი მიზეზები და გაატაროს სამართლებრივი ღონისძიებები.

2.2.2 სახელმწიფო
შესყიდვაში
კონკურენციის
შეზღუდვა

კრიტერიუმი: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გარე განათების წერტილების ტექნიკური მომსახურება რეგულირდება შპს „განათებასთან“ გაფორმებული ხელშეკრულებით.¹⁶ სატენდერო დოკუმენტაციით და ხელშეკრულებით,¹⁷ მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს გარე განათების წერტილების ყოველდღიური მოვლა-ექსპლუატაცია, მათ შორის, სადენების და სანათების დამჭერების შემოწმება, გადამწვარი ნათურების და დაზიანებული კაბელის შეცვლა, საჰაერო ხაზების შემოწმება, დაზიანების აღმოფხვრა, მრიცხველის მოწესრიგება, ყოველდღიური ინფორმაციის ჩანაწერების გაკეთება სპეციალურ ჟურნალში¹⁸ და სხვ.

ფაქტობრივი გარემოება: მერია ყოველწლიურად ახორციელებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გარე განათების წერტილების ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვას და 2019-2020 წლებში, ჯამში გადახდილია 302,043 ლარი.¹⁹ უკონკურენტოდ, შესყიდვის სავარაუდო ღირებულების ოდენობის შეთავაზებით, გამარჯვებულად ორივე წელს გამოვლინდა შპს „განათება“, რომელიც წარმოდგენილი დოკუმენტებით წინა წლებშიც უკონკურენტოდ იყო გამარჯვებული და ახორციელებდა ანალოგიურ მომსახურებას. მერიის მიერ სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი პირობები, შესაძლოა, არსებითად ზღუდავდეს კონკურენციას და მორგებული იყოს კონკრეტულ პრეტენდენტზე, კერძოდ:

- ტექნიკური პირობით განსაზღვრულია გარე განათების წერტილების განათების საათობრივი გრაფიკი, რომლის თანახმად, განათებული უნდა იყოს, მაგალითად: თებერვალში – 11 საათის განმავლობაში, 20:00-დან 7:00 სთ-მდე, მარტში – 11 საათის განმავლობაში, 20:00-დან 7:00 სთ-მდე, მაისში – 9 საათის განმავლობაში, 21:30-დან 6:30 სთ-მდე, ოქტომბერში – 11 საათის განმავლობაში, 20:00-დან 7:00 სთ-მდე და სხვ. მერიის შესაბამისი უფლებამოსილი პირების განმარტებებით დგინდება, რომ განათების წერტილის ჩართვა-გამორთვა უმეტესწილად ფოტორელეს საშუალებით

16 NAT180019470, ხელშეკრულება N224, 28.12.2018, ღირებულება - 167,800 ლარი, ფაქტიური შესრულება - 154,544 ლარი. NAT190024923, ხელშეკრულება N04, 09.01.2020, ღირებულება - 147,500 ლარი, ფაქტიური შესრულება - 147,499 ლარი.

17 NAT180019470, ხელშეკრულება N224, 28.12.2018, ღირებულება - 167,800 ლარი, ფაქტიური შესრულება - 154,544 ლარი. NAT190024923, ხელშეკრულება N04, 09.01.2020, ღირებულება - 147,500 ლარი, ფაქტიური შესრულება - 147,499 ლარი.

18 ჟურნალი, სადაც ფიქსირდება ინფორმაცია ყოველდღიურად განხორციელებული სამუშაოების შესახებ.

19 2019 წელი - 3,550 წერტილი, გადახდილია 154,544 ლარი; 2020 წელი - 4357 წერტილი, გადახდილია - 147,499.50 ლარი.

რეგულირდება, თუმცა შესაბამისი მითითება სატენდერო დოკუმენტაციაში არ არის, მაშინ როდესაც მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე ჯამში – 7,907 წერტილის ადამიანური რესურსით განათება უფრო მეტ ხარჯებთან არის დაკავშირებული, ვიდრე ფოტორელეს საშუალებით განხორციელებული მომსახურება. აღნიშნული გარემოება პრეტენდენტის შეზღუდვის ერთ-ერთი საფუძველია.

ვალდებულების ჯეროვნად შეუსრულებლობისათვის დადგენილია შეუსაბამოდ დიდი ოდენობის პირგასამტეხლო: გარე განათების გრაფიკის დარღვევის თითოეულ ფაქტზე – 100 ლარი, ხოლო გარე განათების წერტილის ორ დღეზე მეტი ვადით გაუნათებლობის შემთხვევაში, თითოეულზე დღეში – 10 ლარი. აქვე აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პერიოდში, ჯამში – 7,907 წერტილიდან, გაუნათებლობის ფაქტი და პირგასამტეხლოს დაკისრება არ დასტურდება, თუმცა სხვადასხვა დროს, სხვადასხვა უბანში შერჩევით,²⁰ აუდიტორების მიერ ფიზიკური დათვალიერებით გამოვლინდა, რომ 71 წერტილი არ იყო განათებული, რაც ერთობლიობაში შესაძლებელია კიდევ უფრო მეტი იყოს. შესაბამისად, სატენდერო წინადადებაში შესაძლებელია მიზანმიმართულად იყოს გათვალისწინებული დიდი ოდენობის საჯარიმო სანქციები, რომელთა პრაქტიკაში გამოყენებაც არ ხორციელდება და მიმართულია ტენდერში სხვა პრეტენდენტების მონაწილეების შეზღუდვის მიზნით.

სატენდერო დოკუმენტაციით, განათების წერტილების ყოველდღიური მოვლა-ექსპლუატაცია ასევე მოიცავს სადენების, სანათების დამჭერების და საჰაერო ხაზების შემოწმებას, დაზიანების აღმოფხვრას, მრიცხველის მოწესრიგებას, ღამის საათებში ჩამოვლებს – ქსელების შემოწმებას და ყოველდღიური ინფორმაციის ჩანაწერების გაკეთებას სპეციალურ ჟურნალში, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაციით, აღრიცხვის ჟურნალი არ არის ნაწარმოები. ამასთანავე, არ არის იდენტიფიცირებული, რომელ უბანზე ან წერტილზე განხორციელდა მომსახურება და რა რაოდენობის სამუშაოები შესრულდა.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღნიშნული დარღვევა-ნაკლოვანებები ასახულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებულ წინა პერიოდის აუდიტის ანგარიშებში²¹ და გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები. მერიის მიერ მოწოდებულია წერილობითი ინფორმაცია, რომ დაგეგმილი იყო შესაბამისი აქტივობა დარღვევა-ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, თუმცა მიმდინარე აუდიტით დგინდება, რომ მდგომარეობა არ გამოსწორებულა.

დასკვნა

მერიამ, განათების წერტილების ტექნიკურ მომსახურებაზე 302,043 ლარის ღირებულების სახელმწიფო შესყიდვა არაკონკურენტულ გარემოში განხორციელა, სატენდერო დოკუმენტაციაში არ მიუთითა განათების წერტილების ჩართვა-გამორთვის თვითრეგულირება, ხოლო ვალდებულების შეუსრულებლობისათვის განსაზღვრა დიდი ოდენობის პირგასამტეხლო, რაც ფაქტობრივად არ გამოუყენებია. აღნიშნული გარემოებები კონკურენციის შეზღუდვას განაპირობებს და წარმოშობს არამართლზომიერი ქმედების რისკებს.

²⁰ სულ 7907 წერტილიდან, შერჩევით იქნა დათვალიერებული 1640 წერტილი.

²¹ წინა პერიოდში გამოვლინდნ დარღვევა-ნაკლოვანებებთან დაკავშირებით მასალები გადაცემულია სამართალდამცავ ორგანოებზე.

რეკომენდაცია N3
ხელვაჩაურის
მუნიციპალიტეტის მერიას:

მერიამ შეიმუშაოს ისეთი შიდა კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს კონკურენტუნარიან სახელმწიფო შესყიდვებს და საბიუჯეტო სახსრების რაციონალურ ხარჯვას. ამასთანავე, განიხილოს გარე განათების ქსელის განვითარების და მოვლა-პატრონობის ქვეპროგრამის ფარგლებში აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების გაუთვალისწინებლობის ფაქტი და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

2.2.3 წყალმომარაგების
უზრუნველყოფის
ღონისძიებაში არსებული
ხარვეზები

კრიტერიუმი: მოქმედი რეგულაციებით, მუნიციპალიტეტი ვალდებულია მოსახლეობა უზრუნველყოს წყალმომარაგებით,²² რისთვისაც სათანადო შესწავლის შედეგად უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს ინფრასტრუქტურული პროექტები. ხელშეკრულების²³ პირობებით, სასმელი წყლის მოწყობის სამუშაოების მიღება-ჩაბარება უნდა განხორციელდეს წყალსადენის სისტემის შემოწმების შემდგომ. სამუშაოები უნდა შესრულდეს ჯეროვნად, საპროექტო დოკუმენტაციისა და ტექნიკური პირობების შესაბამისად. ამასთანავე, შეუსრულებლობის პირობებში უნდა ანაზღაურდეს მიყენებული ზარალი.

ფაქტობრივი გარემოება N1: ხელვაჩაურის ორ სოფელში ჭაბურღილის მოწყობისთვის, წყლის რესურსის განსაზღვრის მიზნით გეოლოგიური კვლევისათვის,²⁴ ბიუჯეტიდან გადახდილია 45,000 ლარი. კვლევის შედეგების გათვალისწინებით, მერიამ სოფელ განახლებაში წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოებზე გასწია 134,829 ლარის ხარჯი, რომელიც ძირითადად მოიცავდა სატუმბის, რეზერვუარის და საქლორატორის მშენებლობას, ასევე მაგისტრალის არსებულ ჭაბურღილზე დაერთებას, თუმცა განხორციელებული აუდიტორული პროცედურების შედეგად გამოვლინდა რომ მოსახლეობას სასმელი წყალი არ მიეწოდება. მუნიციპალიტეტის ინფორმაციით, აღნიშნული გამოწვეულია წყლის მარაგის დაწევით, თუმცა შესაბამისი დოკუმენტური დასაბუთება ვერ იქნა წარმოდგენილი. ამასთან ერთად, ანალოგიური მიზეზის გამო არ გამოიყენება მეორე სოფელში მოწყობილი ჭაბურღილიც.

აღნიშნული გარემოებით დასტურდება, რომ მერიის შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ გეოლოგიური კვლევისა და სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის და მიღება-ჩაბარების ეტაპზე არ განხორციელდა სათანადო ღონისძიებები, არ გაითვალისწინეს წყლის მიუწოდებლობის შესაძლო რისკები. შედეგად, მოსახლეობისთვის წყლის ფაქტობრივი მიუწოდებლობის პირობებში, მერიამ ჩაიბარა სამუშაოები და ბიუჯეტიდან ჯამში გახარჯულია 179,829 ლარი.

ფაქტობრივი გარემოება N2: 2019-2020 წლებში მუნიციპალიტეტმა, შპს „ხელვაჩაურის წყალკანალის“ მეშვეობით, წყალსადენის სათავე ნაგებობების და რეზერვუარის მოვლა-ექსპლუატაციისათვის დაქირავებულ ფიზიკურ პირებზე შრომის ანაზღაურებისათვის სულ გადაიხადა 800,985 ლარი.

მუნიციპალიტეტში არსებული 66 ერთეული წყალსადენის²⁵ რეზერვუარის მოვლა-ექსპლუატაციისათვის შპს „ხელვაჩაურის წყალკანალში“ დასაქმებულია 81

²² „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი,“ მუხლი 16, პუნქტი 2, „თ“ ქვეპუნქტი.

²³ NAT 190013596, 11.09.2019, ხელშეკრულების ღირებულება - 134,998 ლარი.

²⁴ NAT180016647, ხელშეკრულება N156, 12.11.2018 - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გემურაულსა და სოფელ განახლებაში სასმელი წყლის რესურსის გეოლოგიური კვლევა.

²⁵ 46 ერთეული ზედაპირული წყალსადენი რეზერვუარით და 20 არტეზიური ჭაბურღილი რეზერვუარით.

შტატგარეშე თანამშრომელი²⁶ და ჯამში გაცემულია შრომის ანაზღაურება 431,000 ლარის ოდენობით. დასაქმებულ პირებს უნდა განეხორციელებინათ წყლის და შენობა-ნაგებობის რეცხვა-გასუფთავება,²⁷ თუმცა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით ვალდებულების ჯეროვნად შესრულება²⁸ წარმოდგენილი დოკუმენტებით არ დასტურდება, ამასთანავე, ვერ იქნა წარმოდგენილი დასაბუთებული რწმუნება შტატგარეშე თანამშრომელთა რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, შპს „ხელვაჩაურის წყალკანალიზაცია“, 2019-2020 წლებში სათავე ნაგებობების გაწმენდისთვის, 195 შემთხვევაში 19 ფიზიკურ პირთან ყოველთვიურად გააფორმა ერთჯერადი ხელშეკრულებები და ბიუჯეტიდან დამატებით გადაიხადა 369,985 ლარი,²⁹ თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტებით მათ მიერ სამუშაოების ფაქტობრივად განხორციელება ვერ იქნა დადასტურებული.³⁰ კერძოდ, ვერ დგინდება შესრულებული სამუშაოების მოცულობა, პერიოდულობა, შემსრულებელ პირთა ვინაობა და სამუშაოების განხორციელების ადგილმდებარეობა. აქვე საყურადღებოა, რომ შპს „ხელვაჩაურის წყალკანალიზაცია“ 2019 წლის 1 ივნისამდე აღნიშნული საქმიანობისათვის დამატებითი ხარჯები არ გაუწევია და სამუშაოები თავად განახორციელა, ხოლო აუდიტის პერიოდში მოპოვებული ინფორმაციით,³¹ სათავე ნაგებობების გაწმენდით სამუშაოებს ახორციელებენ შტატგარეშედ დასაქმებული ოპერატორ-დეზინფექტორები.

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო ხარვეზით შესრულებული სამუშაოების გამოვლენა და აღმოფხვრა. შედეგად, არასრულყოფილად შესრულებული სამუშაოებისათვის გადახდილია არანაკლებ 179,829 ლარი, ამასთანავე, წყალსადენის რეზერვუარის მომსახურებისათვის დაუსაბუთებლად არის განსაზღვრული დასაქმებულ პირთა რაოდენობა, ხოლო ფაქტობრივად გაწეული მომსახურების დადასტურების გარეშე ანაზღაურებულია 369,985 ლარი, რაც ინფრასტრუქტურული პროექტების მართვაში არსებულ სისტემურ ხარვეზებზე მიუთითებს და არამართლზომიერი ქმედების რისკებს წარმოშობს.

რეკომენდაცია N4

ხელვაჩაურის

მუნიციპალიტეტის მერიას:

მერიამ დანერგოს ისეთი კონტროლის სისტემა, რომელიც დროულად გამოავლენს ხარვეზით შესრულებულ სამუშაოებს, განახორციელებს სათანადო რეაგირებას და უზრუნველყოფს შესრულებაში ნაჩვენები სამუშაოების ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენას. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა იმსჯელოს წყალსადენის სათავე ნაგებობების მომსახურებისათვის გაწეული ხარჯების მიზანშეწონილობის შესახებ, დაადგინოს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების დადასტურების გარეშე და წყლის სისტემის გაუმართაობის პირობებში,

²⁶ საქმიანობას ახორციელებს მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილით დაფუძნებული შპს „ხელვაჩაურის წყალკანალიზაცია“. 2019 წელი დასაქმებულია 70 ოპერატორ-დეზინფექტორი, გაცემულია შრომის ანაზღაურება - 202,750 ლარი; 2020 წელი, დასაქმებულია 81 ოპერატორ-დეზინფექტორი, გაცემულია შრომის ანაზღაურება - 228,250 ლარი.

²⁷ ყოველი წვიმის შემდეგ უნდა დასუფთავდეს და გაირეცხოს ყველა შენობა-ნაგებობა, რომელიც ემსახურება სასმელ წყალს. ამასთანავე, წყალი უნდა გაირეცხოს ჰიპოქლორიდის მარილით.

²⁸ არ არის ნაწარმოები ოპერატორ-დეზინფექტორების აღრიცხვის ჟურნალები; ამასთანავე, არ არის წარმოდგენილი წყლის შენობა-ნაგებობების რეცხვა-გასუფთავების დამადასტურებელი სრულყოფილი დოკუმენტები.

²⁹ 2019 წლის 1 ივნისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით - 93,784 ლარი, 2020 წელს - 276,201 ლარი.

³⁰ არ არის ასახული ცალკეულ სათავე ნაგებობაზე ჩასატარებელი და შესრულებული სამუშაოს სახეობა და მოცულობები, ნაჩვენებია ჯამური მონაცემები, მაგალითად, გატანილია ნატანი და ღორდი: 2020 წლის იანვარი - 112 კუბ.მ; თებერვალი - 140 კუბ.მ; მარტი - 139 კუბ.მ და სხვ. ჯამში ნაჩვენებია შლამის გატანა - 2019 წლის 7 თვეში - 633 კუბ.მ; 2020 წელს - 1,578 კუბ.მ, სულ: 2,211 კუბ.მ.

³¹ ოპერატორ-დეზინფექტორთა განმარტება.

საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის გამომწვევი მიზეზები და გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

2.2.4 საპროექტო დოკუმენტაციის შედგენაში არსებული ხარვეზები

კრიტერიუმი: მოქმედი რეგულაციების შესაბამისად,³² სახელმწიფო შესყიდვა უნდა განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპით, სათანადო დაგეგმვის საფუძველზე. მერიის ინფრასტრუქტურული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენასთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულებით,³³ მიმწოდებელი ვალდებულია ყოველი კონკრეტული საპროექტო სამუშაო შეასრულოს სამუშაოების კლასიფიკაციის ინსტრუქციის შესაბამისად და ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული პირობებით.

ფაქტობრივი გარემოება: მერიის მიერ ინფრასტრუქტურული სამუშაოებისათვის შესყიდული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის საფუძველზე განხორციელებული სამუშაოების შესყიდვის ანალიზით ირკვევა, რომ სისტემატური ხასიათი აქვს ცალკეული მიმწოდებლის მოთხოვნის საფუძველზე პროექტით გათვალისწინებული პარამეტრების ცვლილებებს, რაც, ძირითადად, საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისას დაშვებული ხარვეზით არის განპირობებული. არასრულყოფილად შედგენილი პროექტების გამო, სისტემატურად იცვლება ხელშეკრულებათა პირობები და დადგენილ დროში ვერ დასრულდა სამუშაოები. აუდიტის პერიოდში შერჩეული³⁴ 26 დასახელების სამუშაოების სავარაუდო ღირებულება პროექტით განსაზღვრული იყო 8,940,478 ლარის ოდენობით, თუმცა შესყიდვის პროცედურებით და ხელშეკრულებებში სისტემატურად განხორციელებული ცვლილებებით, სამუშაოების ღირებულება შემცირდა 1,822,997 ლარით და ფაქტობრივად შეადგინა 7,117,481 ლარი. იქიდან გამომდინარე, რომ საპროექტო დოკუმენტაცია ხარვეზით იყო შესრულებული და პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულება არსებითად მეტადაა შეფასებული ფაქტობრივ მდგომარეობასთან შედარებით, შემსყიდველმა არ გამოიყენა ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება, მიმწოდებელზე პირგასამტეხლოს დაკისრებასთან დაკავშირებით³⁵ და პროექტის ავტორებზე გადახდილია სრული სახელშეკრულებო ღირებულება. საპროექტო დოკუმენტაციაში განხორციელებული ცვლილებებით, რიგი სამუშაოების შემცირების ხარჯზე დამატებულია სხვა ახალი სამუშაოები, კერძოდ:

- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეკომიგრანტი ოჯახებისათვის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და სამშენებლო სამუშაოების შესრულების სავარაუდო ღირებულება განსაზღვრულია 3,335,145 ლარით. ერთი შესყიდვის ფარგლებში სამუშაოებს ახორციელებს ამხანაგობა „მშენებლები“. შესყიდვის პროცედურებით,

³² საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“; საქართველოს სამოქალაქო კოდექსი; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მითითებები და რეკომენდაციები.

³³ ხელშეკრულებები: ი/მ ამირან ქოჩიაშვილი - N164, 31.10.2019; N51, 10.04.2019; N70, 20.05.2019; N12, 12.02.2020. ი/მ რევაზ დიდმანიძე - N17, 06.02.2019; N120, 23.08.2019; N155, 04.10.2019. შპს ვეგა+ - N52, 10.04.2019. შპს „ოპტიმა“ - N10, 10.02.2020. შპს - „პროექტ კომპანი“, N39, 25.03.2020. ერთობლივი საქმიანობა - ამხანაგობა „მშენებლები“ - N45, 22.03.2019.

³⁴ შერჩეულია პროექტი, სადაც ცვლილებები განხორციელდა 2-ჯერ და მეტად.

³⁵ სულ გადახდილია 144,517 ლარი, მათ შორის, ი/მ ამირან ქოჩიაშვილი; შპს „ვეგა+“; ი/მ რევაზ დიდმანიძე; შპს „პროექტ კომპანი“ - სრულყოფილი საპროექტო-სატენდერო დოკუმენტაციის ხარისხიანად დამუშავებაზე, წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისწორეზე, 10%-ზე მეტი უზუსტობის შემთხვევაში, ჯარიმდება ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ით - 59,517 ლარი*10%=5,951 ლარი: ამხანაგობა „მშენებლები“ - 85,000 ლარი*5%=4,250 ლარი, სულ ჯამში: 10,201 ლარი.

ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრა 2,977,339 ლარით, ხოლო სამუშაოების დასრულების ვადად – 2020 წლის 1 ოქტომბერი. მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ პროექტის ავტორი და სამუშაოების შემსრულებელი ერთი და იგივე იურიდიული პირია,³⁶ ხელშეკრულებაში 10 შემთხვევაში განხორციელდა ცვლილება, ელექტროენერგიის მოწყობის სამუშაოებში, გამრიცხველიანების ნაწილში მიმწოდებლის მიერ დაშვებული ხარვეზების, ასევე სხვა გარემოებების გამო, შეიცვალა მიწოდების ვადები. ხარჯთაღრიცხვაში ასახული სამუშაოს მოცულობების ნახაზებთან მიმართებით შეუსაბამობის გამო, ცვლილებები განხორციელდა ფანჯრების, იატაკის, ეზოს მოწყობის სამუშაოებში. შედეგად, სამუშაოების დასრულების ვადა გადავადდა 2 თვეზე მეტი დროით, 2020 წლის 30 დეკემბერამდე, ხოლო ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ 2,821,015 ლარი³⁷ შეადგინა, რაც სავარაუდო ფასთან შედარებით – 514,130 ლარით, ხოლო ხელშეკრულების საწყის ფასთან შედარებით 156,324 ლარით ნაკლებია.

ანალოგიური ხარვეზებია მუნიციპალიტეტში სკვერების მოწყობის, სასმელი წყლის ჭაბურღილის, რეზერვუარის და მაგისტრალის მოწყობის, მინი სპორტული მოედნის და სასოფლო გზების რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენაში.³⁸ (იხ. დანართი N1)

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა ინფრასტრუქტურული სამუშაოებისათვის 26 შემთხვევაში საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვაზე გადაიხადა ხელშეკრულების სრული თანხა – 144,517 ლარი, თუმცა არასრულყოფილად ჩაატარა ბაზრის კვლევა, პროექტების მიღების ეტაპზე არ განახორციელა ინსპექტირება, შესყიდულ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად არის განსაზღვრული სამუშაოების სახეობები, არანაკლებ 1,822,997 ლარის ღირებულების სამუშაოებზე მიღებულია ხარვეზით შედგენილი პროექტი. შედეგად, დადგენილ დროში ვერ დასრულდა სამშენებლო სამუშაოები. აღნიშნულ პირობებში მიმწოდებელზე არ არის დაკისრებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო, რაც საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიურ ხარჯვაზე მიუთითებს და წარმოშობს არამართლზომიერი ქმედების რისკებს.

რეკომენდაცია N5

ხელვაჩაურის
მუნიციპალიტეტის მერიას:

მერიამ დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზანშეწონილობას და ხელშეკრულების შესრულებაზე სათანადო მონიტორინგს. აღნიშნული ხელს შეუწყობს სამუშაოების უკეთ წარმოებას და მინიმუმამდე შეამცირებს ხარვეზებით შედგენილი პროექტების მიღებას. ამასთანავე, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ გამოიკვლიოს შესყიდვაში არსებული ხარვეზების გამომწვევი მიზეზები და გაატაროს სათანადო ღონისძიებები.

2.3 შრომის ანაზღაურება

2.3.1 შრომის ანაზღაურების გაცემაში არსებული ხარვეზები

კრიტერიუმი: მოქმედი რეგულაციებით,³⁹ „ხელფასის დარიცხვის საფუძველს წარმოადგენს: ორგანიზაციის ბრძანებები მომუშავეთა მიღების, გათავისუფლებისა და გადაადგილების შესახებ, დამტკიცებული შტატებისა და სარგოების შესაბამისად, სამუშაო დროის გამოყენების ყოველთვიური აღრიცხვა ორგანიზაციის მიერ უნდა ხდებოდეს დადგენილი ფორმით (სამუშაოზე

³⁶ განახორციელა ამხაგობა „მშენებლებმა“, დიზაინ-ბილდის კონცეფციით.

³⁷ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ღირებულება – 75,000 ლარი, სამშენებლო სამუშაოების ღირებულება – 2,746,015 ლარი.

³⁸ შეიცვალა წყლის სამარაგე ნაგებობის ლოკაცია, ჭაბურღილის სიღრმე, მიღების რაოდენობა, განათების ბოძების მოცულობები და სხვ.

³⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, მუხლი 30, პუნქტი 14.

გამოცხადების აღრიცხვის ჟურნალი ან/და სპეციალური ტექნიკური საშუალება) და შრომითი ხელშეკრულებით ან შრომის შინაგანაწესით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებული სხვა დოკუმენტებით.“ თანამშრომლებთან შრომითი ურთიერთობისათვის გაფორმებული ხელშეკრულების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა დაკავებული პოზიცია და შესასრულებელი სამუშაოს სახეობა, შრომის ანაზღაურების ხარჯის გაწევა კი შეფასდეს ნამუშევარი დროის მიხედვით.

ფაქტობრივი გარემოება: მერიის თანამშრომლების სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვის მიზნით, 2019-2020 წლებში მერია არ აწარმოებდა თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადების აღრიცხვის ჟურნალს, შესაბამისად, არ ხორციელდება თანამშრომელთა სამსახურში მოსვლისა და წასვლის დროის იდენტიფიცირება და კონტროლი. ამასთანავე, აუდიტის პერიოდში მერიას არა აქვს ნაწარმოები სამუშაო დროის გამოყენებისა და ხელფასის გაანგარიშების აღრიცხვის ტაბელი, ხელფასების დარიცხვა ხდება მხოლოდ საშტატო განრიგის საფუძველზე.

წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ სამუშაო დროის სრული განაკვეთით დასაქმების პირობებში, მუნიციპალიტეტში 21 თანამშრომელი, რომელთა ანაზღაურებამაც 2019-2020 წლებში 116,612 ლარი შეადგინა, პარალელურად დასაქმებული იყვნენ სხვა სამუშაო ადგილებზე. შესაბამისად, ვერ მივიღეთ რწმუნება მათ მიერ სამუშაო დრო რამდენად რაციონალურადაა გამოყენებული. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ა(ა)იპ – ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანებამ სამ შემთხვევაში ზედმეტად გასცა 1,053 ლარი.

დასკვნა

მუნიციპალიტეტში სრულფასოვნად არ გამოიყენება სამუშაო დროის აღრიცხვის სისტემა. ამასთანავე, 21 პირი, რომელთა ანაზღაურებამ შეადგინა 116,612 ლარი, შეთავსებით დასაქმებულია სხვა უწყებაში, ხოლო მათ მიერ მუნიციპალიტეტში სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენება წარმოდგენილი დოკუმენტებით არ დასტურდება, ამავე დროს, ა(ა)იპ – ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების მიერ ზედმეტადაა გადახდილი 1,053 ლარი. აღნიშნული გარემოებები შრომის ანაზღაურების სახით გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის კონტროლის მექანიზმების არსებით სისუსტეზე მიუთითებს და საბიუჯეტო სახსრების არარაციონალურად გამოყენების რისკებს შეიცავს.

რეკომენდაცია N6 ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიას:

მერიამ დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები და შექმნას ადამიანური რესურსების მართვის ისეთი პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაო დროის აღრიცხვის სისტემის გამოყენებას; ამასთან ერთად, შეფასდეს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის კონტროლის მექანიზმების სისუსტეები, შეთავსებით დასაქმებული პირების მიერ სამუშაო დროის სრულფასოვნად გამოყენების და საბიუჯეტო სახსრების არარაციონალურად ხარჯვის რისკები და გატარდეს სათანადო ღონისძიებები.

2.4 ავტოსატრანსპორტო საშუალებების საწვავის ხარჯი

2.4.1 საწვავის ხარჯვაში არსებული ხარვეზები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტში დასაქმებულ პირთან უფლებამოსილების განხორციელებისათვის, მერიის ბრძანებით დაწესებულია საწვავის ლიმიტები. მოქმედი რეგულაციებით,⁴⁰ თანამშრომელთა მფლობელობაში არსებულ ავტომანქანებზე, საწვავის ხარჯვის დასადასტურებლად უნდა აწარმოონ ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიერ გავლილი მანძილის რეესტრი. ამასთანავე, ოდომეტრის ჩვენება დაფიქსირებული უნდა იქნეს არანაკლებ თვეში ერთხელ, ასევე

⁴⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 18 აპრილის N230 ბრძანება „ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული ძირითად საშუალებებზე (ავტოსატრანსპორტი, სპეცტექნიკა და სხვ.) გახარჯული საწვავის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვის წესის“ დამტკიცების შესახებ.

სააღრიცხვო პოლიტიკაში შესაძლებელია „საგზაო ფურცლის“ შემოღება, რომელიც იქნება ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე გაწერილი დოკუმენტი და რომლის მიხედვითაც აღირიცხება სატრანსპორტო ერთეულის ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართულობა (შესრულებული სამუშაოები).

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტში ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე 2019-2020 წლებში საწვავის ხარჯვა ხორციელდებოდა აგაი სისტემის (ავტომატური გამართვისა და ავტომატური იდენტიფიცირების სისტემა) გამოყენებით და ჯამში გახარჯულია 338.225 ლარის⁴¹ საწვავი, მათ შორის, ბალანსზე რიცხულ 15 ერთეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე გაიხარჯა 174,863 ლარის საწვავი, ხოლო საჯარო მოხელეების პირად საკუთრებაში არსებულ 37 ავტოსატრანსპორტზე, რომელიც 2,4-ჯერ აღემატება ბალანსზე რიცხულ ავტოსატრანსპორტის რაოდენობას, გახარჯულია 163,362 ლარის საწვავი. აქვე აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტებისათვის სარეკომენდაციო შინაარსის მატარებელი საბიუჯეტო დაწესებულებების მიერ ავტოპარკით სარგებლობასა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვასთან დაკავშირებული, საქართველოს მთავრობის დადგენილება⁴² მერიას არ გაუთვალისწინებია და ავტომობილების გამოყენებასთან დაკავშირებით შესაბამისი წესი არ შეუმუშავებია.

განხორციელებული აუდიტორული პროცედურებით ირკვევა, რომ რიგ შემთხვევაში საწვავის სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენება ვერ დასტურდება, კერძოდ:

- მოქმედი რეგულაციებით,⁴³ სამსახურებრივ მივლინებად ითვლება დაწესებულების ხელმძღვანელის ბრძანებით მოსამსახურის გამგზავრება. ტრანსპორტთან დაკავშირებული ხარჯების ანალიზი ცხადყოფს, რომ 11 ერთეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე 28 შემთხვევაში 951 ლიტრი, 2,310 ლარის ღირებულების საწვავის ჩასხმა⁴⁴ დაფიქსირებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, თუმცა აღნიშნულ შემთხვევებზე, მუნიციპალიტეტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტური დადასტურება, ავტომობილების სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენებასთან დაკავშირებით.
- საჯარო მოსამსახურეების პირად საკუთრებაში არსებულ 37 ერთეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე ჯამში გაცემულია 78,983 ლიტრი, 161,052 ლარის ღირებულების საწვავი, რომლის ხარჯვასთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტები ზოგადი ხასიათისაა და არ არის იდენტიფიცირებული კონკრეტულ პერიოდში სამსახურებრივი დანიშნულებით გადაადგილება, შესრულებული სამუშაო, გავლილი მანძილი და გაწეული მომსახურება.

დასკვნა

მუნიციპალიტეტში არ არის გათვალისწინებული ავტომობილების რაოდენობასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის რეკომენდაციები, წარმოდგენილი

⁴¹ ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებები: 2019 წელი, 13 ერთეული - 43,000 ლიტრი, 94,557 ლარი; 2020 წელი, 18 ერთეული - 43.605 ლიტრი, 80,306 ლარი, ჯამში: 86.605 ლიტრი, 174.863 ლარი; ფიზიკური პირების საკუთრებაში არსებულ ავტომანქანებზე მერიის მიერ გაცემულია საწვავი: 2019 წელი - 35 ერთეულზე 41,407 ლიტრი, 89,500 ლარი; 2020 წელი - 33 ერთეულზე 33,700 ლიტრი, 62,012 ლარი, ჯამში: 75.107 ლიტრი და 151.512 ლარი. სულ ჯამში: 161.712 ლიტრი, 326.375 ლარი; ა(ა)იპ - ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანება: 3 ერთეულზე 2019 წელს გაცემულია 2,455 ლიტრი, 6,370 ლარის ღირებულების, 2020 წელს 2 ერთეულზე - 2,372 ლიტრი, 5,480 ლარის, ჯამში: 4,827 ლიტრი, 11,850 ლარის ღირებულების.

⁴² საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 2, პუნქტი 2.

⁴³ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებით დამტკიცებული „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესი“.

⁴⁴ ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე - 19 შემთხვევა, 574 ლიტრი, 1,394 ლარი. ბალანსზე რიცხულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე - 9 შემთხვევა, 377 ლიტრი, 916 ლარი.

	დოკუმენტებით, ბალანსზე რიცხულ და საჯარო მოსამსახურეების პირად საკუთრებაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე, ჯამში: 163,362 ლარის ღირებულების საწვავის სამსახურებრივი დანიშნულებით ხარჯვა არ დასტურდება, აღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ საწვავის ხარჯვის პროცესში არსებული კონტროლის მექანიზმები სრულად ვერ უზრუნველყოფს საწვავის მიზნობრივი ხარჯვის ეფექტიან კონტროლს და წარმოშობს არასამსახურებრივი დანიშნულებით საწვავის გამოყენების რისკებს.
რეკომენდაცია N7 ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიას:	მერიამ იმსჯელოს, საჯარო მოსამსახურეების პირად საკუთრებაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამოყენების და მასთან დაკავშირებით საწვავის ხარჯვის მიზანშეწონილობაზე; ამასთანავე, შეიმუშაოს საწვავის განაწილებისა და ხარჯვის ისეთი წესი, რომელიც დაეფუძნება მოქმედ რეგულაციებს და უზრუნველყოფს საწვავის არასამსახურებრივი მიზნებისათვის შესაძლო გამოყენების თავიდან აცილებას.
2.5 აქტივების მართვა	კრიტერიუმი: დაწესებულებებში აქტივების დაცულობასა და სათანადოდ შენახვაზე, აღრიცხვიანობის სისწორეზე, არსებობასა და სისრულეზე რწმუნების მიღების ერთ-ერთ საშუალებას ინვენტარიზაცია განეკუთვნება. მოქმედი რეგულაციებით,⁴⁵ ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემების უტყუარობის უზრუნველყოფის მიზნით, საწარმო/ორგანიზაცია ახორციელებს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციას, რომლის ჩატარება სავალდებულოა.
2.5.1 აქტივების მართვაში არსებული ხარვეზები	ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ორგანიზაციებში, შიდა კონტროლის სისტემის სისუსტისა და პასუხისმგებელი პირების მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვნად შესრულების გამო, დარღვეულია ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი.⁴⁶ მოქმედი რეგულაციების დაცვით არ ტარდება მოთხოვნებისა და ვალდებულებების სავალდებულო ინვენტარიზაცია, კერძოდ: • მერიის ბალანსზე რიცხულ 89,736,200 ლარის⁴⁷ ღირებულების აქტივებსა და ვალდებულებებზე, ასევე ა(ა)იპ – ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების ბალანსზე რიცხულ 2,051,653 ლარის⁴⁸ აქტივებზე ინვენტარიზაცია არ არის ჩატარებული.⁴⁹ • ა(ა)იპ – ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების მიერ 31,444 ლარის ღირებულების აქტივები⁵⁰ შესყიდულია სასაქონლო ზედნადების გარეშე, ზოგადი ხასიათის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რის გამოც ვერ ხერხდება აქტივების იდენტიფიცირება. აღნიშნული გარემოება წარმოშობს მიღებული აქტივების ხარისხის და გადახდილ ფასთან შეუსაბამობის რისკებს. • შიდა კონტროლის სისტემის სისუსტისა და ბუღალტრულ აღრიცხვა-ანგარიშგების პროცესში არსებული ხარვეზების გამო, ხელვაჩაურის

⁴⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“.

⁴⁶ დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მუხლი 2, პუნქტი 1, „ა“ ქვეპუნქტი; მუხლი 11, პუნქტი 1.

⁴⁷ აქტივები - 87,735,201 ლარი, ვალდებულებები - 1,878,936 ლარი, საცნობარო მუხლი - 122,063 ლარი.

⁴⁸ აქტივები - 603,181 ლარი, საცნობარო მუხლი - 1,448,472 ლარი, ჯამში: 2,051,653 ლარი.

⁴⁹ ექვემდებარებოდა ინვენტარიზაციას 1,890,730,266 ლარის აქტივები და ვალდებულებები; ინვენტარიზაცია ჩატარდა 1,559,114,590 ლარის ღირებულების აქტივებზე.

⁵⁰ CMR190123113; CMR190141914; CMR190147099; CMR190190107; CMR190190205; CMR190199035; CMR190199048; CMR190061655; CMR200037567; CMR200055180; CMR200060617.

მუნიციპალიტეტის ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული და შეფასებული მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 61 დასახელების 11,547,290 ლარის ღირებულების აქტივი. (იხ. დანართი N2)

დასკვნა	მუნიციპალიტეტს არ ჩაუტარებია ბალანსზე რიცხული 91,787,853 ლარის ღირებულების აქტივების ინვენტარიზაცია. ამასთანავე, 61 დასახელების – 11,547,290 ლარის ღირებულების აქტივები არ აქვს აღრიცხული ფინანსურ ანგარიშგებაში. აღნიშნული გარემოება აქტივების მართვაში არსებულ არსებით ხარვეზებზე მიუთითებს და წარმოშობს მათი ფაქტობრივად არარსებობის რისკებს.
რეკომენდაცია N8 ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიას: ა(ა)იპ – ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანებას:	მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების ფაქტობრივი რაოდენობის და მდგომარეობის დასაცავად შემუშავდეს დამატებითი კონტროლის მექანიზმები. ამასთანავე, მერიამ უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში მხარჯავ დაწესებულებებში სავალდებულო ინვენტარიზაციის ჩატარება და აქტივების სრულყოფილად აღრიცხვა.
2.6 კვების პროდუქტები 2.6.1 ხელშეკრულების პირობების დარღვევით პროდუქტების შეძენა	კრიტერიუმი: სახელმწიფო შესყიდვის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს თანაბარი კონკურენციის პირობებში შესაბამისი ხარისხისა და სტანდარტის საქონლის, მომსახურების და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვას. ამასთანავე, შესასყიდი საქონლის სათანადო ხარისხის დაცვა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, როდესაც საკითხი ეხება სკოლამდელ აღზრდას და სახელმწიფოს მიერ დადგენილი რეგულაციებით ქმნის აუცილებელ პირობებს ბავშვების ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად. ფაქტობრივი გარემოება: ა(ა)იპ – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების მიერ განხორციელებული თევზის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვებში არ არის დაცული სატენდერო წინადადების პირობები და ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებები. კერძოდ, ტექნიკური დავალების თანახმად, მიმწოდებელმა უნდა მოაწოდოს შესაბამისი მახასიათებლების ⁵¹ მქონე კვების პროდუქტი, წარმოდგენილი დოკუმენტებით კი ირკვევა, რომ ა(ა)იპ-ის მიერ აუდიტის პერიოდში მიღებულია 27,610 ლარის ღირებულების თევზი, რაზედაც არ არის წარმოდგენილი წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტები; ამასთან ერთად, მიღების ეტაპზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტებით არ დასტურდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის მქონე პროდუქტების მოწოდება.
დასკვნა	მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ – ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანებამ, სატენდერო წინადადებით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხისა და გადახდილ ფასთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის გარეშე, შეიძინა 27,610 ლარის ღირებულების კვების პროდუქტი, რაც წარმოშობს არამართლზომიერი ქმედების რისკს.

⁵¹ NAT180019703. NAT190023695, გაყინული თევზი (ხევი) - უთავო, 1 ცალი თევზის წონა, არანაკლებ, 400 გრ. უმაღლესი ხარისხის, არასასიამოვნო სუნის გარეშე, 5-20 კგ-იანი შეფუთვით. შეფუთვაზე მინიშნებული უნდა იყოს დამზადებისა და ვარგისიანობის ვადა.

რეკომენდაცია N9 ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიას: ა(ა)იპ - ხელვაჩაურის ბაღების გაერთიანებას:	მუნიციპალიტეტმა საბავშვო ბაღების გაერთიანებასთან ერთად დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს კვების პროდუქტების შეძენაში არსებულ ხარვეზების გამოვლენას და სათანადო რეაგირებას; ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა გამოიკვლიოს ხარისხისა და გადახდილ ფასთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე კვების პროდუქტების შეძენის გამომწვევი მიზეზები და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.
2.7 საკრებულოს წევრების ხარჯების ანაზღაურება 2.7.1 დასაბუთების გარეშე ხარჯების ანაზღაურება	კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრი, რომელიც არ არის საკრებულოს თანამდებობის პირი, თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად,⁵² მას შეიძლება აუნაზღაურდეს უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორცაა, საკრებულოსა და კომისიის სხდომების, დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობის მიღების, ამომრჩეველთან შეხვედრების, ასევე საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის ცალკეული დავალების შესრულებისათვის საჭირო ხარჯები. გაწეული ხარჯის ანაზღაურება ხორციელდება შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტის საფუძველზე. ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტის საკრებულოს არათანამდებობის პირებს, 2019-2020 წლებში ხარჯების ანაზღაურების სახით მიღებული აქვთ, ჯამში: 72,975 ლარი. მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა დოკუმენტური მტკიცებულებები საკრებულოს წევრების ხარჯების დასადასტურებლად. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, საკრებულოს არათანამდებობის პირებს ეძლევათ არა ფიქსირებული გასამრჯელო, არამედ უნაზღაურდებათ უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები. შესაბამისად, თანხის გაცემის საფუძველი უნდა იყოს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. აღსანიშნავია, რომ საკრებულოს წევრებზე ანაზღაურებულია დადგენილებით განსაზღვრული მაქსიმალური თანხები, რაც მიანიშნებს დაუსაბუთებლად თანხების გაცემაზე.
დასკვნა	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტმა 2019-2020 წლებში საკრებულოს არათანამდებობის პირებზე, შესაბამისი დოკუმენტური დასაბუთების გარეშე, ხარჯის ანაზღაურების მიზნით, გასცა სულ – 72.975 ლარი.
რეკომენდაცია N10 ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიას:	მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი და პრაქტიკა, სრულად შეესაბამებოდეს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს და ხარჯები ანაზღაურდეს სათანადო დოკუმენტების წარმოდგენის საფუძველზე.
2.8 შიდა კონტროლი 2.8.1 შიდა კონტროლის ნაკლოვანებები	კრიტერიუმი: შიდა კონტროლის საქმიანობა ეხმარება დაწესებულებას ეფექტიანი კონტროლის მექანიზმების შენარჩუნებაში მუდმივი სრულყოფის ხელშეწყობის გზით.⁵³ შიდა აუდიტის სამსახურის ფუნქციაა ორგანიზაციაში არსებული სისტემების, პროცესების, შიდა კონტროლის მექანიზმების შესწავლა და მათი ფუნქციონირების შემოწმება. აუდიტის სუბიექტი აფასებს რისკის მართვის პროცესების ეფექტიანობას და ხელს უწყობს მათ გაუმჯობესებას.

⁵² „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 41.

⁵³ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 ივლისის N1015 განკარგულება „შიდა აუდიტის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“.

მნიშვნელოვანია, სამსახურმა შეისწავლოს მერიის საქმიანობა, შეაფასოს შეესაბამება თუ არა მუნიციპალიტეტის დაგეგმილ მიზნებსა და ამოცანებს, რამდენად კანონიერად, მიზნობრივად და ეფექტიანად იყენებენ დაფინანსებას. შიდა აუდიტის სამსახურის რეკომენდაციები უნდა დაეხმაროს ხელმძღვანელობას ორგანიზაციაში ჩამოაყალიბოს ისეთი სისტემები, რომლებიც გააუმჯობესებს ფინანსების მართვას. რეკომენდაციების დახმარებით ორგანიზაციამ უნდა შეძლოს ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის დანერგვა, რომლითაც შესაძლებელი იქნება ტექნიკური და ფუნქციური ხარვეზების აღმოჩენა, თაღლითობისა და შეცდომების გამოვლენა და პრევენცია.

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურმა 2019-2020 წლებში ჩაატარა 14 აუდიტორული შემოწმება.⁵⁴ ჩატარებული აუდიტების შედეგად გამოვლენილია სხვადასხვა სახის კონკრეტული დარღვევა-ნაკლოვანება,⁵⁵ რომელთა გამოსწორების მიზნით გაცემულია რეკომენდაციები. თუმცა შიდა აუდიტის სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შედეგად, ვერ გამოვლინდა კონტროლის მექანიზმების ის სისუსტეები და ხარვეზები, რომლებიც დაფიქსირდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტის შედეგად. კერძოდ, მიმდინარე აუდიტის პერიოდში გამოვლინდა შესყიდვების მართვაში, საწვავის ხარჯვასა და შრომის ანაზღაურების გაცემაში არსებული ხარვეზები, ასევე რისკის შემცველი გარემოებები.

დასკვნა

მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემები სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ფინანსების მართვის გაუმჯობესებას, ინფრასტრუქტურული ღონისძიებების შესრულების მონიტორინგის, საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობის და ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობას.

რეკომენდაცია N11

ხელვაჩაურის

მუნიციპალიტეტის მერიას:

მუნიციპალიტეტმა შეიმუშაოს და დანერგოს იმგვარი შიდა კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემის შესწავლასა და შეფასებას, ასევე პროცესებში არსებული რისკებისა და სისტემური ხარვეზების გამოვლენას. მიღებული შედეგების საფუძველზე, შესაბამისმა სამსახურმა შეიმუშაოს რეკომენდაციები და განხორციელოს მისი მუდმივი მონიტორინგი.

2.9 წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტის შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების მდგომარეობა

მუნიციპალიტეტის 2018 წლის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გამოვლენილ დარღვევა-ნაკლოვანებებზე გაცემულია 10 რეკომენდაცია.

მუნიციპალიტეტის მიერ დარღვევა-ნაკლოვანებების გამოსასწორებლად გატარებულია სხვადასხვა ღონისძიება, თუმცა რიგ საკითხებთან დაკავშირებით, არ არის გატარებული საკმარისი და შესაფერისი ღონისძიებები, კერძოდ:

- განათების წერტილების ტექნიკურ მომსახურებაზე კვლავ ფიქსირდება წინა პერიოდის აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებები და შესყიდვა განხორციელებულია არაკონკურენტულ პირობებში;

⁵⁴ 2019 წელს - 9 აუდიტი, 2020 წელს - 5 აუდიტი, ჯამში: 14 თემატური აუდიტი.

⁵⁵ მერია: მოიჯარის მიერ საიჯარო ქირის გადახდის ვადების დარღვევა; შეჩერებული და დაუსრულებელი მშენებლობების გამოვლენა და დასრულებული მშენებლობის ექსპლუატაციაში მიღება. ა(ა)იპ - ხელვაჩაურის სასპორტო სკოლა: სპორტულ ღონისძიებებში მივლინებული სპორტსმენების კუთვნილი დღიური სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება ხდება მწვრთნელის მიერ (საკუთარი სახსრებით), რომელსაც კლუბი ანაზღაურებს მივლინებიდან დაბრუნების შემდეგ. ა(ა)იპ - ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახური: შესყიდვა განხორციელებულია მონეტარული ზღვრების დარღვევით; სპეციალურ ტექნიკაზე არ წარმოებს გავლილი (ოდომეტრი) მანძილისა და დროის (მოტოსაათი) შესახებ აღრიცხვა.

- საკრებულოს არათანამდებობის წევრების უფლებამოსილების განხორციელებისათვის გაწეულ ხარჯებზე არ არის წარმოდგენილი ხარჯის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტები;
- სრულყოფილად არ არის აღმოფხვრილი სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას არსებული ხარვეზები, როგორებიცაა, სამუშაოების შესყიდვისას ბაზრის კვლევა, შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა და სხვ.

აუდიტორები

ხელმოწერა

ნადიმ ბოლქვაძე

მთავარი აუდიტორი

ნ. ბოლქვაძე

ირაკლი ანანიძე

წამყვანი აუდიტორი

ირაკლი ანანიძე

გურანდა გვაზავა

უფროსი აუდიტორი

გ. გვაზავა

მინდია ჯორთმენაძე

უფროსი აუდიტორი

მინდია ჯორთმენაძე

ზვიად ვარშალომიძე

აუდიტორი

ზ. ვარშალომიძე

ნინო ჩაგანავა

უფროსი აუდიტორ-ასისტენტი

ნინო ჩაგანავა

გიორგი აბულაძე

აუდიტორ-ასისტენტი

გიორგი აბულაძე

დანართები

დანართი N1. ხარვეზით შედგენილი პროექტები

რიგითი N	სამუშაოების დასახელება	შესყიდვის საშუალება NAT	სავარაუდო ფასი	მიმწოდებელი	საწყისი ფასი	საბოლოო ფასი	შესრულებული სამუშაოს ღირებულება	ხარვეზით შედგენილი სამუშაოები
1.	სანიაღვრე არხის მოწყობა	NAT180018949	31 001,0	შპს „ზამბორი“	24 800,0	24 631,0	23 316,0	7 685,0
2.	სამანქანე გზის რეაბილიტაცია	NAT180018966	254 969,0	შპს „კრედო XXI“	199 496,0	185 509,0	176 630,0	78 339,0
3.	სპორტული მოედნისა და სკვერის მოწყობა	NAT180018967	182 181,0	შპს „ბილდ მენეჯმენტი“	134 539,0	133 252,0	133 252,0	48 929,0
4.	სამანქანე გზის რეაბილიტაცია	NAT180018971	450 309,0	შპს „ნიკა“	355 555,0	353 995,0	348 005,0	102 304,0
5.	სასოფლო გზის რეაბილიტაცია	NAT180020137	306 186,0	შპს „ზადუ“	228 999,0	228 999,0	224 416,0	81 770,0
6.	საცხოვრებელი სახლის პროექტი-მშენებლობა	NAT190000052	3 335 145,0	ამხანაგობა „შენებლები“	2 977 792,0	2 975 499,0	2 897 544,0	437 601,0
7.	ფერდსამაგრი კედლის მოწყობა	NAT190003757	117 424,0	შპს „დაჩი“	112 030,0	108 999,0	105 825,0	11 599,0
8.	ფერდსამაგრი კედლის მოწყობა	NAT190012594	100 981,0	შპს „გიგა 2015“	83 814,0	82 006,0	80 216,0	20 765,0
9.	ჭაბურღილის მოწყობა	NAT190021115	95 294,0	შპს „ალსოფ“	92 414,0	41 309,0	41 305,0	53 989,0
10.	შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია	NAT190025615	397 752,0	შპს „აკო 777“	318 202,0	312 326,0	309 399,0	88 353,0
11.	შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია	NAT190025431	410 877,0	შპს „დაჩი“	315 999,7	308 261,0	303 249,0	107 628,0
12.	ჭაბურღილის და სასმელი წყლის მოწყობა	NAT190025619	363 507,0	შპს „ალსოფ“	284 440,6	283 675,1	275 419,0	88 088,0
13.	სასმელი წყლის სისტემის მოწყობა	NAT190025843	336 944,0	შპს „ალსოფ“	254 440,7	238 865,2	231 931,0	105 013,0
14.	საყრდენი კედლის მოწყობა	NAT200000509	113 922,0	შპს „მათე 555“	87 149,2	79 882,0	78 400,0	35 522,0
15.	სასმელი წყლის რეზერვუარის მოწყობა	NAT200001911	37 684,0	შპს „ნაგო“	30 147,9	29 590,8	29 590,8	8 093,2
16.	ფერდსამაგრი კედლის მოწყობა	NAT200001234	136 852,0	შპს „გზები“	109 482,0	109 482,0	106 293,2	30 558,8
17.	დაწყებითი სკოლის რეაბილიტაცია	NAT200002283	222 923,0	შპს „მშენებელი“ 2017	169 498,5	168 929,8	167 837,8	55 085,2
18.	ამბულატორიის მშენებლობა	NAT200001564	130 976,0	შპს „მშენებელი“ 2019	96 549,5	95 008,3	83 372,0	47 604,0
19.	გზის რეაბილიტაცია	NAT190025436	348 338,0	შპს „ბილდერი“	271 776,9	270 948,5	267 016,1	81 321,9
20.	ამბულატორიის მშენებლობა	NAT200008963	119 536,0	შპს „მეგაბილდ“	87 840,9	80 718,3	78 367,3	41 168,7
21.	სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობა	NAT200008893	272 886,0	შპს „ალსოფ“	218 292,1	214 616,7	214 478,2	58 407,9
22.	სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობა	NAT200008894	287 194,0	შპს „ლაზარე 2008“	213 996,9	210 168,4	207 405,0	79 789,0
23.	წყალსადენის მოწყობა	NAT200008890	400 263,0	შპს „უნივერსალ“	388 888,0	378 695,5	367 666,0	32 597,0

				ჯორჯია 2008				
24.	მოსაცდელის და ცენტრის კეთილმოწყობა	NAT200013462	52 327,0	შპს „ნიკა“	41 862,0	41 843,0	41 474,0	10 853,0
25.	გზის რეაბილიტაცია	NAT200013475	366 442,0	შპს „მარეთი 777“	277 765,8	274 646,5	273 180,0	93 262,0
26.	ფერდამცავი კედლის მოწყობა	NAT200013794	68 565,0	შპს „დაჩი“	53 812,0	53 451,0	51 894,0	16 671,0
			8 940 478	-				
ჯამი:					7 429 583,5	7 285 307,2	7 117 481,4	1 822 996,7

დანართი N2. აქტივები, რომლებიც არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში

რიგითი ნომერი	დასახელება	ღირებულება
1.	გარე განათება - სოფელი სალიბაური	97 073,4
2.	გარე განათება - სოფელი მაჭახლისპირი	53 915,7
3.	გარე განათება - სოფელი მაჭახლისპირი	75 877,3
4.	გარე განათება - სოფელი ზედა ჭარნალი	50 069,8
5.	გარე განათება - სოფელი ჩელტა	569 079,2
6.	გარე განათება - სარფი	141 390,0
7.	მინი სპორტული მოედანი - სოფელი განთიადი	67 320,0
8.	მინი სპორტული მოედანი - სოფელი მურვანეთი	26 760,0
9.	მინი სპორტული მოედანი - სოფელი ზედა ჩხუტუნეთი	9 300,0
10.	მინი სპორტული მოედანი - სოფელი ქვედა ჩხუტუნეთი	12 520,0
11.	მინი სპორტული მოედანი - სოფელი ჭარნალი	49 410,0
12.	მოსაცდელი - სოფელი მეჯინისწყალი	3 280,0
13.	მოსაცდელი - აჭარისწყალი	2 660,0
14.	სანიაღვრე არხი - სოფელი ერგე	88 320,0
15.	სანიაღვრე არხი - სოფელი ახალსოფელი	123 200,0
16.	სანიაღვრე არხი - სოფელი ჭარნალი	145 088,0
17.	სანიაღვრე არხი - სოფელი ერგე	40 320,0
18.	სკვერი - სოფელი თხილნარი	3 675,0
19.	სკვერი - სოფელი ერგე	47 740,0
20.	სკვერი - სოფელი ერგე	42 420,0
21.	სკვერი - სოფელი თხილნარი	65 590,0
22.	ხიდი - სოფელი მაჭახლისპირი	69 687,8
23.	წყლის რეზერვუარი - დასახლება გონიო	1 700,0
24.	წყალსადენი - სოფელი ახალსოფელი	3 436 598,3
25.	წყალსადენი - სოფელი კვარიათი	166 350,2
26.	წყალსადენი - სოფელი კვარიათი	129 667,3
27.	წყალსადენი - სოფელი კვარიათი	45 194,8
28.	წყალსადენი - სოფ. კვარიათი	1 015 381,4
29.	წყალსადენი - სოფელი გონიო	17 675,2
30.	წყალსადენი - სოფელი გონიო	106 277,4
31.	წყალსადენი - სოფელი გონიო	304 132,3
32.	წყალსადენი - სოფელი გონიო	183 551,5
33.	წყალსადენი - სოფელი გონიო	220 767,1
34.	წყალსადენი - სოფელი გონიო	299 913,8
35.	წყალსადენი - სოფელი გონიო	234 828,7
36.	წყალსადენი - სოფელი გონიო	174 210,6
37.	წყალსადენი - სოფელი გონიო	307 650,0
38.	წყალსადენი - სოფელი გონიო	235 029,6
39.	წყალსადენი - სოფელი გონიო	220 644,4
40.	წყალსადენი - სოფელი გონიო	300 313,4
41.	წყალსადენი - სოფელი გონიო	35 874,9
42.	წყალსადენი - სოფელი გონიო	161 654,1
43.	წყალსადენი - სოფელი გონიო	32 600,6
44.	წყალსადენი - სოფელი ახალშენი	203 652,1

45.	წყალსადენი - სოფელი ახალშენი	245 816,9
46.	წყალსადენი - სოფელი ჭარნალი	280 428,5
47.	წყალსადენი - სოფელი ჭარნალი	167 655,9
48.	წყლის მილი - სოფელი ფერია, გიგინეიშვილების დასახლება	78 019,2
49.	წყლის მილი - სოფელი ფერია, გიგინეიშვილების დასახლება	118 616,4
50.	წყლის მილი - სოფელი აგარა	13 608,0
51.	წყლის მილი - სოფელი წინსვლა	95 029,2
52.	წყლის მილი - სოფელი თხილნარი	33 793,2
53.	წყლის მილი - სოფელი თხილნარი	28 803,6
54.	წყლის მილი - სოფელი ზედა ახალშენი	6 577,2
55.	წყლის მილი - სოფელი ზედა ახალშენი	45 586,8
56.	წყლის მილი - სოფელი ზედა ახალშენი	136 080,0
57.	წყლის მილი - სოფელი გომელაური	207 187,2
58.	წყლის მილი - სოფელი გომელაური	207 422,6
59.	სათავე ნაგებობა - სოფელი მახინჯაური	64 303,2
60.	წყლის საქაჩი - სოფელი ფერია	34 318,4
61.	წყლის რეზერვუარი - სოფელი ჩიქუნეთი	165 680,0
ჯამი:		11 547 290,3

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და სოციალური მედია

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE